SMARTSAFE
საგადახდო მომსახურების
წესები და პირობები
(ჩარჩო ხელშეკრულება)

წინამდებარე საგადახდო მომსახურების წესები და პირობები (შემდგომში - წესები და პირობები) შედგენილია შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-ს (ს/ნ 405546075; მისამართი: თბილისი, არაყიშვილის 3, სართული 5, ოფისი 73; info@unitedpayment.ge ვებ-გვერდის მისამართი: www.unitedpayment.ge) მიერ. წესები და პირობები შესასრულებლად სავალდებულოა შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-ს მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურებით სარგებლობის დროს.

მუხლი 1. საგადახდო მომსახურება

საგადახდო მომსახურების განხორციელების დროს, პროვაიდერი მოქმედებს, როგორც გადამხდელის პროვაიდერი და მას აძლევს შესაძლებლობას ნაღდი ფული შეიტანოს კიოსკში, რის შედეგადაც, ნაღდი ფული გადაირიცხება მიმღების საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. საგადახდო მომსახურებით სარგებლობის დროს წინამდებარე წესებსა და პირობებში მოცემულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა:

ავთენტიფიკაცია - პროცედურა, რომელიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერს საშუალებას აძლევს, მოახდინოს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ამოცნობა/იდენტობის დადგენა ან საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების ვალიდურობის დადგენა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს გამოყენებული უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების შემოწმებას.

საბანკო დაწესებულება - საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულება.

საბანკო ანგარიში - მიმღების საბანკო ანგარიში.

გადამხდელი - მიმღების მიერ განსაზღვრული ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს თანხის შეტანა ამ წესებისა და პირობების შესაბამისად მიმღების საბანკო ანგარიშზე.

გადახდა - გადამხდელის მიერ თანხის შეტანა კიოსკის მეშვეობით მიმღების საბანკო ანგარიშზე.

ვალუტა - საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული - ლარი, რომელიც შედგება 100 თეთრისგან.

ვებ-გვერდი - პროვაიდერის ვებ-გვერდი - www.unitedpayment.ge

ინდივიდუალური მონაცემები - გადამხდელისათვის გადაცემული მონაცემები, რომელიც გამოიყენება ავთენტიფიკაციისათვის. გადამხდელისათვის გადაცემული მონაცემები მოიცავს ინდივიდუალურ სახელს და პაროლს.

მიმღები - სუბიექტი, რომელთანაც პროვაიდერს გაფორმებული აქვს საგადახდო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.
მომხმარებელი - გადამხდელი ან/და მიმღები.
პროვაიდერი - შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია (ს/ნ 405546075), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საგადახდო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის საფუძველზე (რეგისტრაციის თარიღი: 14 მარტი, 2023; რეგისტრაციის ნომერი: 0098-2904). პროვაიდერის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge). **ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი პროვაიდერის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.**
სამუშაო საათი - დღის განმავლობაში განსაზღვრული საათები, რა პერიოდშიც შესაძლებელია საგადახდო მომსახურებით სარგებლობა და თანხის შეტანა გადამხდელის მიერ მიმღების საბანკო ანგარიშზე. სამუშაო საათები მითითებული იქნება კიოსკის ეკრანზე.
ტელეფონის ნომერი - გადამხდელის მიერ პროვაიდერისათვის მიწოდებული ტელეფონის ნომერი, რომელიც გამოიყენება გადამხდელისთვის საგადახდო მომსახურების გაწევის ან/და გადამხდელთან ოფიციალური კომუნიკაციის ან/და შეტყობინების მიზნებისათვის, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის. პროვაიდერი ასევე უფლებამოსილია გადასცეს მესამე პირს აღნიშნული ტელეფონის ნომერი საგადახდო მომსახურების განხორციელების ან/და გადამხდელისათვის შეტყობინებების გაგზავნის მიზნით.
წარუმატებელი გადახდა - საგადახდო ოპერაცია, რა დროსაც, არ ხორციელდება გადახდის დადასტურება პროვაიდერის მიერ, მათ შორის და არამხოლოდ, ტექნიკური, სამართლებრივი, ფინანსური ან/და სხვა საფუძვლით.

2. ამ მუხლში მოცემულ ტერმინთა განმარტებასა და საქართველოს კანონმდებლობაში იგივე ტერმინთა განმარტებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ განმარტებას.

მუხლი 3. გადამხდელის ავთენტიფიკაცია

1. ამ წესებით და პირობებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების განხორციელების დროს, გადამხდელის ავთენტიფიკაცია განხორციელდება ორ ეტაპად:
   ა) ეტაპი I - გადამხდელი კიოსკში დააფიქსირებს მისთვის გადაცემულ ინდივიდუალურ მონაცემებს.
   ბ) ეტაპი II - იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი წარმატებით შეასრულებს პირველ ეტაპს, მას პროვაიდერისგან ან/და პროვაიდერის უფლებამოსილი სუბიექტისგან მიუვა უნიკალური კოდი ტელეფონის ნომერზე, რომელსაც ის დააფიქსირებს კიოსკში.
2. გადამხდელი ვალდებულია არ გაანდოს ნებისმიერ მესამე პირს მისთვის გადაცემული ინდივიდუალური მონაცემები და მის ტელეფონის ნომერზე მისული უნიკალური კოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადახდო

მომსახურების არასწორად გაწევაზე ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე სრულად პასუხისმგებელია გადამხდელი.

3. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არასწორად დააფიქსირებს ინდივიდუალურ მონაცემებს ან/და უნიკალურ კოდს ზედიზედ ხუთჯერ, საგადახდო მომსახურება შეჩერდება მომდევნო 20 წუთის განმავლობაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს სურს ინდივიდუალური მონაცემების ცვლილება, მან უნდა მიმართოს აღნიშნული მოთხოვნით პროვაიდერს და მოითხოვოს ინდივიდუალური მონაცემების ცვლილება. მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ან/და წერილობითი ფორმით.
5. ავთენტიფიკაციის შემდეგ მომხმარებლის მხრიდან უმოქმედოდ უწყვეტად 5 წუთის გასვლის შემდეგ მომხმარებელს, განხორციელდება მომხმარებლის ხელახალი ავთენტიფიკაცია ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 4. გადახდის ინიციირება

1. ავთენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ, გადამხდელი ამოირჩევს მიმღების საბანკო ანგარიშს, რომელზეც სურს ნაღდი ფულის განთავსება. საბანკო ანგარიშის სწორად არჩევაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გადამხდელს.
2. მიმღების საბანკო ანგარიშის ჩამონათვალს განსაზღვრავს მიმღები.

მუხლი 5. გადახდის დადასტურება

1. გადამხდელის მიერ თანხის კიოსკში შეტანის შემდეგ, პროვაიდერი განახორციელებს შემდეგი ქმედებიდან ერთ-ერთს:
   ა) დაუშვებს გადამხდელის მიერ კიოსკში თანხის შეტანას და შეტანილ თანხას ასახავს მიმღების საბანკო ანგარიშზე, თანხის შეტანიდან 30 წუთის განმავლობაში.
   ბ) არ დაუშვებს გადამხდელის მიერ კიოსკში თანხის შეტანას ტექნიკური, სამართლებრივი, ფინანსური ან/და სხვა საფუძვლით.
   გ) დაუშვებს გადამხდელის მიერ კიოსკში თანხის შეტანას, მაგრამ არ ასახავს თანხას მიმღების საბანკო ანგარიშზე ტექნიკური, სამართლებრივი, ფინანსური ან/და სხვა საფუძვლით. ასეთ შემთხვევაში, საფუძვლის გათვალისწინებით, ეცნობება გადამხდელს ან/და მიმღებს და განხორციელდება თანხის დაბრუნება გადამხდელისათვის ან/და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. მათ შორის, მომხმარებელი ინფორმირებულია, რომ შესაძლებელია სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, არ განხორციელდეს თანხის ასახვა მიმღების საბანკო ანგარიშზე.
2. პროვაიდერი ვალდებულია აცნობოს გადამხდელს ან/და მიმღებს განხორციელებული გადახდის შედეგის შესახებ ქვითრის მიწოდების, ტელეფონის ნომერზე შეტყობინების გაგზავნის ან/და პროვაიდერის ელექტრონულ სისტემაზე წვდომის შემთხვევაში, ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით.

მუხლი 6. პრეტენზიის და საჩივრის განხილვა

1. მომხმარებელს უფლება აქვს პროვაიდერს წარუდგინოს საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივარი.
2. საჩივარი შესაძლებელია პროვაიდერს წარედგინოს ზეპირი (მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციის გზით), ელექტრონული ან/და წერილობითი ფორმით.
3. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ ზეპირი ფორმით დაფიქსირებული საჩივრით გათვალისწინებული პრობლემა ვერ მოგვარდება ზეპირი კომუნიკაციის დროს, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს საჩივარი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ამასთან, აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა არ გულისხმობს ზეპირი ფორმით წარდგენილი საჩივრის განუხილველობას პროვაიდერის მიერ.
4. პროვაიდერს უფლება აქვს შესთავაზოს მომხმარებელს ზეპირი საჩივრის დაფიქსირება აუდიოჩანაწერის სახით, რაზეც მომხმარებელი თანხმობას აცხადებს.
5. პროვაიდერი მომხმარებლის მიერ წარდგენილ საჩივარს განიხილავს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში შეუძლებელია საჩივრით გათვალისწინებული საკითხის გადაჭრა, პროვაიდერი შეატყობინებს მომხმარებელს საჩივრის განხილვის დასაბუთებულ ვადას აღნიშნული 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
6. საჩივრის წარდგენა წერილობითი ფორმით შესაძლებელია პროვაიდერის მისამართზე: თბილისი, არაყიშვილის 3, სართული 5, ოფისი 73.
7. საჩივრის წარდგენა ელექტრონული ფორმით შესაძლებელია პროვაიდერის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@unitedpayment.ge ან პროვაიდერის სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო არხის საშუალებით, მათ შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით.
8. საჩივრის წარდგენა პროვაიდერისათვის და მისი განხილვა ხორციელდება უსასყიდლოდ.
9. საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უფლება აქვს, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის - შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-სთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის - შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-ს წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომ – კომისია) მხოლოდ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის - შპს იუნაითიდ ფეიმენთ ჯორჯია-სთვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს, თუ მისი მოთხოვნა არ აღემატება 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს (სადავო ქმედების განხორციელების თარიღით ან წარდგენის დღის თარიღით). კომისია დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის

წარმოებაში მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში (შესაძლოა გახანგრძლივდეს 30 კალენდარული დღით). კომისია დავას განიხილავს უსასყიდლოდ. მომხმარებელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კომისიისთვის მიმართვის გარეშეც.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემები

1. მომხმარებელი ადასტურებს მის თანხმობას, რომ პროვაიდერმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები, კერძოდ:
2. სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, მოქალაქეობა, სქესი, ფოტოსურათი, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, საქმიანობა, ოჯახური მდგომარეობა, ადგილმდებარეობა, განათლება, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, ხელმოწერა, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი, შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, მზა ჩანაწერი (cookies), ფულადი სახსრების გადარიცხვის/გაგზავნის/ჩარიცხვის/მიღების შესახებ ინფორმაცია, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ID ბარათი) ან პასპორტის ნომერი და აღნიშნული დოკუმენტის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა, დოკუმენტის გამცემი ორგანო.
3. პროვაიდერს უფლება აქვს პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საგადახდო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობების შესრულების მიზნით, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით. მომხმარებელი ეთანხმება, რომ პროვაიდერმა განახორციელოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რა დროსაც, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება უარი თქვას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე იგივე საშუალებით, რა საშუალებითაც მიიღებს შეტყობინებას პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების დროს.
4. მომხმარებლისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდება პროვაიდერის მიერ ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პროვაიდერი განახორციელებს მონაცემების დეპერსონალიზაციას. პროვაიდერს უფლება აქვს განახორციელოს არაიდენტიფიცირებული მონაცემების შენახვა.
5. მომხმარებლისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ პროვაიდერისათვის გადაცემული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია გადაეცეს მესამე პირებს, მათ შორის, სს სილქნეტს (ს/ნ 204566978), პროვაიდერის უფლებამოსილ წარმომადგენელს, პროვაიდერის დამფუძნებელ სუბიექტს, მათ შორის, პროვაიდერს უფლება აქვს პერსონალური მონაცემები გადასცეს საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, თურქეთში.

მუხლი 8. წესების და პირობების ძალაში შესვლა. ცვლილება

1. წინამდებარე წესები და პირობები ძალაშია მასზე ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული ფორმით დათანხმების გზით. საგადახდო

მომსახურების სარგებლობით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს.

2. წინამდებარე წესების და პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს პროვაიდერის მიერ ცალმხრივად.
3. ცვლილება ხელმისაწვდომი იქნება პროვაიდერის ვებ-გვერდზე ან/და კიოსკის ეკრანზე. ცვლილება შესაძლებელია აისახოს დამოუკიდებელი ტექსტის სახით, ან/და განთავსდეს ინტეგრირებულად ძირითად ტექსტთან ერთად.
4. ცვლილება ძალაში შედის პროვაიდერის მიერ მომხმარებლისათვის შეტყობინებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის ამ წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას (მომსახურებებს), რა დროსაც ცვლილების ამოქმედების ვადა განისაზღვრება პროვაიდერის მიერ.
5. მხარეთა შორის დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ.